ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1141658

ნომერი: AR1199407

თარიღი : 24.02.2014

გაცემის თარიღი : 27.02.2014

გაცნობის თარიღი : 28.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 68 , ნაკვ.09/052 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა ენუქიძე პ/ნ 01009001988
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 47ბ ბ. 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-
2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადიმიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკი თხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ-
ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-
ლი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტისთანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების გა ნვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარ იანტების და მიღებულიგადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-
2 პუნქტის, "ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს გა ნიხილოს შენობა-
ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერებისპროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსი ლებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე). ქალაქ თბილისისარქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურ ულსამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლ ებამოსილია, არამედ ვალდებულიაიზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-
ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და ვინაიდან ამავე ტერიტორიაზე საპროექტო ადგილის გვერდზე უკვე არსებობს მსგავსი ტიპის სარეკლამო კონსტრუქცია, დამატებით ახალი, იგივე გაბარიტების სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობა გამოიწვევს ტერიტორიის გადატვირთვას, რაც სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აღნიშნული გარემოების გამო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაროფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.